

პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება	პროგრამის კოდი საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრის მიხედვით:	--
	Business Administration	პროგრამის შიდა აღნიშვნა:	EBBA-16. 2025.E

უმაღლესი განათლების საფეხური	I (ბაკალავრიატი)	კვალიფიკაციის დონე:	VI
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	კვალიფიკაციის კოდი:	0413
	Bachelor of Business Administration		
სწავლების ენა	ინგლისური		
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	180 ECTS		
	ბტუ-ში აკადემიური წელი 2-სემესტრიანია. პროგრამის ხანგრძლივობა - 6 სემესტრი. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით დასაშვებია წლიური დატვირთვა იყოს 60 მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა (ბტუ-ში 1 კრედიტი = 25 სთ). პროგრამით გათვალისწინებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნათა შესრულებით პროგრამისთვის დადგენილი კრედიტის დაგროვების შედეგად.		
პროგრამის დამტკიცების აქტი	აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება (პროგრამის დამტკიცება ოქმი № ზოლო ცვლილებები ოქმი №)		
გადაწყვეტილება აკრედიტაციის მინიჭების შესახებ	---		
პროგრამის ხელმძღვანელი		Tel.:	
		Email:	

პროგრამაზე დაშვება

წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში - პროგრამა) დაიშვება სრული ზოგადი განათლების ან მისი ეკვივალენტური განათლების მქონე პირი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე (სავალდებულო საგნად ინგლისური ენის ჩაბარების პირობით). ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად. ორივე მითითებულ შემთხვევაში მოთხოვნა - ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B1 დონეზე ("უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტების კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2025 წლის 29 დეკემბრის ბრძანება N224/წ. მ.2, პ. 3¹). წინამდებარე პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით ბტუ-ს და სხვა უსდ-ის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის (მოთხოვნა - ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B1 დონეზე), სტუდენტების მიერ უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბტუ-ში არსებული განათლების (კრედიტების) აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამა შედგება სასწავლო კომპონენტებისაგან და მას აქვს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული მოცულობა (180 ECTS-ის კრედიტი) და სტრუქტურა: ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი (სავალდებულო და არჩევითი ნაწილი) და თავისუფალი კომპონენტი (სავალდებულო და არჩევითი ნაწილი). პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული და უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას პრინციპით: ზოგადიდან კერძოსკენ, მარტივიდან რთულისაკენ. სტუდენტს შეუძლია არჩევანის გაკეთება - ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტის კომბინირება მის მიერ არჩეულ სასწავლო კურსებთან; სასწავლო კურსების არჩევით სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროფილის ფორმირება. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის კომპეტენციები წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტებისა და სტუდენტის მიერ არჩეული სასწავლო კურსების მეშვეობით მიღწეული კომპეტენციების ერთობლიობას. პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭება ხდება პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად არანაკლებ 180 კრედიტის დაგროვების შედეგად.

პროგრამის მიზანი

პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს კურსდამთავრებული, რომელსაც შეუძლია ეფექტიანად იმოქმედოს გლობალურად კონკურენტულ ბიზნესგარემოში. პროგრამის მიზანია სტუდენტს გადასცეს ბიზნესის ძირითადი დისციპლინების ინტეგრირებული ცოდნა. გამოუმუშავოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, ბაზრის ტენდენციების გაანალიზების, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების, ბიზნესპროცესების გაუმჯობესებისა და ინოვაციური გადაწყვეტილებების შესამუშავებლად თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენების, ლიდერობის და გუნდში ეფექტური კომუნიკაციის უნარი. განუვითაროს ეთიკური და მდგრადობის პრინციპების შეფასების, უწყვეტი სწავლებისა და განვითარების გზით საკუთარი პროფესიული კომპეტენციების გაღრმავების უნარი.

პროგრამის შედეგები. პროგრამის კურსდამთავრებული:

1	განიხილავს ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად თეორიებსა და კონცეფციებს, მათ შორის მეწარმეობის, მენეჯმენტის, ფინანსების და მარკეტინგის პრინციპებს ადგილობრივ და გლობალურ კონტექსტში.
2	დეტალურად აღწერს საერთაშორისო და ადგილობრივ ბიზნეს გარემოს, სხვადასხვა სფეროებში მიმდინარე პროცესებისა და ოპერაციების ურთიერთკავშირს თანამედროვე, დინამიკური ბიზნეს გარემოს პირობებში.
3	კრიტიკულად იაზრებს გლობალურ და ადგილობრივ ბიზნეს გამოწვევებს და განმარტავს მათ გავლენას ორგანიზაციულ საქმიანობაზე.
4	იყენებს რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს ბიზნესის ღირებულების შეფასებისთვის, აიდენტიფიცირებს ზრდის შესაძლებლობებს კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად და შესაბამისი სტრატეგიების დასაგეგმად.
5	ახდენს ბიზნესთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებასა და შეფასებას, ადგენს მათი მართვისა და ორგანიზაციული მდგრადობის განმტკიცების სტრატეგიებს.
6	აანალიზებს ორგანიზაციის საქმიანობას ანალიტიკური ინსტრუმენტებისა და კვლევითი მეთოდების გამოყენებით, ბაზრის ტენდენციებზე დაყრდნობით ადგენს ბიზნესთან დაკავშირებულ პრობლემათა გადაჭრის რეკომენდაციებს.
7	აანალიზებს ფინანსურ და ეკონომიკურ მონაცემებს მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებისა და ბიზნესის დაგეგმვის მიზნით.

8	შემიშუავებს და ახორციელებს პრაქტიკულ პროექტს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში და შედეგებს წარადგენს კონტექსტისთვის შესაფერისი ფორმატით და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.
9.	ავლენს ლიდერობისა და გუნდური მუშაობის უნარებს, ეფექტიანად თანამშრომლობს ინტერკულტურულ სამუშაო გარემოში.
10.	იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიებს ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად და ბიზნესის ეფექტიანობის ასამაღლებლად.
11.	ავასებს ბიზნეს ეთიკის და მდგრადობის პრინციპების მნიშვნელობას პასუხისმგებლიანი და ინკლუზიური ორგანიზაციული ქცევის უზრუნველსაყოფად.
12.	ადგენს ინდივიდუალური სწავლისა და პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმას, საკუთარი ძლიერი მხარეებისა და საჭიროებათა იდენტიფიცირების საფუძველზე.
კურსდამთავრებულის ზოგადი კომპეტენციები	
<input checked="" type="checkbox"/>	ინსტრუმენტული კომპეტენციები (იდენტიფიცირდება ზოგად და დარგობრივ ცოდნასთან; კონკრეტულ უნარებთან (მაგ., ინფორმაციის/იდეების გააზრების, ოპერირების, გაცნობიერების, გამოყენების უნარი, ანალიტიკური უნარები, პრობლემის გადაჭრის გზის განსაზღვრის უნარი); მეთოდოლოგიურ უნარებთან (მაგ., დროის მართვის უნარი, სამუშაოს/საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი, გადაწყვეტილების მიღების ან პრობლემის გადაჭრის უნარი); ტექნოლოგიურ უნარებთან (მაგ., ტექნიკური საშუალებების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, ინფორმაციის მართვის უნარი, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების და შერჩევის უნარი), ლინგვისტურ უნარებთან (მაგ., წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი, უცხოური ენის ფლობა).
<input checked="" type="checkbox"/>	ინტერპერსონალური კომპეტენციები (იდენტიფიცირდება სტუდენტის ინდივიდუალურ შესაძლებლობებთან და თვისებებთან (მაგ., წარმატებისკენ და თვითრეალიზებისკენ სწრაფვა, ლიდერობა, კრეატიულობა, სიტუაციის კრიტიკული გააზრების და შეფასების უნარი, დამოკიდებულებების და მოსაზრებების გამოსატვის უნარი, თვითკრიტიკის და თვითშეფასების უნარი, ინდივიდუალურად/დამოუკიდებლად მუშაობის უნარი); სოციალურ უნარებს (მაგ., პიროვნებათშორისი ურთიერთობები, გუნდში მუშაობის და თანამშრომლობის უნარი, სოციალური და ეთიკური ღირებულებების გააზრების უნარი, კრიტიკულ სიტუაციებში ადეკვატური ქცევის უნარი, სხვ., რომლებიც წარმოადგენენ სოციალური ინტერგაციის და კოოპერაციის საფუძველს).
<input checked="" type="checkbox"/>	სისტემური კომპეტენციები (ასახვენ ცოდნის, გაცნობიერების და დამოკიდებულებების ერთობლიობის გაცნობიერების, მთლიანის შემადგენელი ნაწილების დანახვის, ერთიან სისტემაში მათი ადგილის, ურთიერთკავშირის და ერთიანობის გააზრების უნარი, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, სწავლის უნარი, ახალ/გაუთვალისწინებელ სიტუაციებთან ადაპტირების უნარი, პროექტების მართვის უნარი, ცვლილებების დაგეგმვის უნარი, ინოვაციური საქმიანობის უნარი, კვლევის უნარი, ახალი იდეების გენერირების უნარი, ლიდერობის უნარები, და სხვ.).

სწავლება-სწავლის მეთოდები

სწავლება-სწავლის პროცესში, პროგრამის კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება ცოდნის გადაცემის ისეთი საშუალებები, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს: დისკუსია-დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, ანალიზი, სინთეზი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, დემონსტრირება და სხვ., მათი კომბინირება მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა მონაწილეობის სტიმულირებაზე და მათ აქტიურ ჩართულობაზე, შემეცნებითი/ კვლევითი უნარების, ცოდნით აქტიური ოპერირებისა და პრაქტიკული გამოყენების, სიტუაციის და ინფორმაციის ანალიზისა და ინტერპრეტაციის, შედეგების დაკონკრეტების, განზოგადებისა და ახსნის, მსჯელობისა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების, სამუშაოს სტრუქტურირებისა და დროის მენეჯმენტის, პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების, გუნდური და დამოუკიდებელი მუშაობის, კომუნიკაციის დამყარებისა და დისკუსიის წარმართვის, თვითპროექტირებისა და თვითშეფასების და სხვ. უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე და მაქსიმალურ განვითარებაზე. სტუდენტები ეჩვევიან მიზნების დასახვას და მათი მიღწევის ადეკვატური გზებისა და მეთოდების გამოყენებას, შესასრულებელი სამუშაოს სტრუქტურირებას, ეტაპობრივ დაგეგმვას და დროის ორგანიზებას, საჭირო ინფორმაციის მოპოვებისთვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბიბლიოთეკო ფონდის აქტიურ გამოყენებას, დასახული ამოცანის რეგულატორი ინფორმაციის, მონაცემების და ლიტერატურის მოძიებას, ინფორმაციის/მონაცემების ანალიზს შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, ვერბალურ/წერით კომუნიკაციას, პრეზენტაციის მომზადება-მოწყობას, თვითპროექტირებას, დასკვნების და მოსაზრებების ჩამოყალიბებას და არგუმენტირებულ დავას, მსჯელობას და სხვ. პროგრამის კომპონენტის შესწავლისას გამოყენებული მეთოდები (მითითებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში) უზრუნველყოფენ პროგრამის კომპონენტით დაგეგმილი დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციების მიღწევას, ხოლო პროგრამის ყველა კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა – პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევას.

შეფასების ზოგადი წესი

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით: შეფასება მოიცავს შუალედური შეფასების და დასკვნითი შეფასების კომპონენტებს. ორივე შემთხვევაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (მითითებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში). დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ შუალედური ან დასკვნითი შეფასების გამოყენებით. პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების ჯამს. წილადის სახით მიღებული შეფასების ქულა მთელ რიცხვამდე მრგვალდება დამრგვალების წესის შესაბამისად: 4 და ნაკლები - სიმცირისკენ, 5 და მეტი - მეტობისკენ. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა უშვებს 5 დადებით და 2 უარყოფით შეფასებას:

შეფასებები	ქულა	შეფასება
------------	------	----------

5 დადებითი შეფასება	91 - 100	A	ფრიადი
	81 - 90	B	ძალიან კარგი
	71 - 80	C	კარგი
	61 - 70	D	დამაკმაყოფილებელი
	51 - 60	E	საკმარისი
2 უარყოფითი შეფასება	41 - 50	Fx	ვერ ჩააბარა (სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება, ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
	40 - 0	F	ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

Fx შეფასება ნიშნავს, რომ სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით იმავე სემესტრში დამატებით დასკვნით შეფასებაზე ერთხელ გასვლის უფლება, დამატებით დასკვნით შეფასება დაინიშნება დასკვნითი შეფასების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. დამატებით დასკვნით შეფასებაზე მიღებულ შეფასებას (ქულას) არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულები. დამატებით დასკვნით შეფასებაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით დასკვნით შეფასებაზე მიღებული შეფასების (ქულის) გათვალისწინებით პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება შეფასება F. შეფასება F ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი, პროგრამის კომპონენტი ახლიდან აქვს შესასწავლი. პროგრამის კომპონენტში კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ დაგეგმილი (სილაბუსში მითითებული) შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება კანონმდებლობით დადგენილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უცხოეთის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში) მაგისტრატურის პროგრამაზე, რომელიც წინაპირობის სახით არ მოითხოვს პროგრამის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციისაგან განსხვავებული კვალიფიკაციის საჭიროებას.

დასაქმების შესაძლო სფერო

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში, აგრეთვე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში ბიზნესის, ადმინისტრირების, კორდინაციისა და ანალიტიკური მიმართულების პოზიციებზე, მათ შორის ბიზნესის განვითარების მენეჯერის, პროდუქტის განვითარების მენეჯერის, ოპერაციების სპეციალისტის, ბიზნესპროცესების სპეციალისტის, ბიზნეს ანალიტიკოსის და სხვა შესაბამის პოზიციებზე / თანამდებობებზე. გარდა ამისა, კურსდამთავრებულები მზად არიან დაიკავონ ლიდერული პოზიციები არსებულ ბიზნესში / მოქმედ ორგანიზაციებში ან დაიწყონ და განავითარონ საკუთარი სტარტაპი.

პროგრამის მატერიალური რესურსი

პროგრამა ხორციელდება ბტუ-ს ბაზაზე და უზრუნველყოფილია შესაბამისი, აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. ბტუ-ს ბაზა მოიცავს თანამედროვე ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას, ბიბლიოთეკის წიგნად (ბეჭდური და ელ.მატარებლებზე) ფონდს და სამეცნიერო ელ.ბაზებს, კვლევების, განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის რესურსებს, ბტუ-ს კომპიუტერულ ბაზას და სხვ. პროგრამის კომპონენტები განხორციელდება ბტუ-ს ხელთ არსებული ყველა რესურსის გამოყენებით. პროგრამის განმხორციელებელ პირებს და სტუდენტებს აქვთ წვდომა უახლეს ლიტერატურასთან, იქნება გამოყენებული საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების ბაზა, ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ მსხვილ ორგანიზაციებთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და სხვა.

პროგრამის ფინანსური რესურსი

პროგრამა ხორციელდება ბტუ-ს ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად - პროგრამას აქვს ბიუჯეტი, პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა გათვალისწინებულია ბტუ-ს ბიუჯეტით.

პროგრამის ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ ბტუ-ს აკადემიური (მათ შორის, აფილირებული) პერსონალი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები, რომლებთანაც აქვთ პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენციები, დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული საქმიანობის გამოცდილება, სპეციალური მომზადება და სხვ.

პროგრამის სტრუქტურა (სქემა)

პროგრამის კომპონენტები	კრედიტების განაწილება	
	სავალდებულო ნაწილი	არჩევითი ნაწილი
1) ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი 2) თავისუფალი კომპონენტი	ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი	126
	თავისუფალი კომპონენტი	36
	ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი	12
	სტუდენტის არჩევანით („თავისუფალი კომპონენტის“ ან „თავისუფალი კრედიტების, ძირითადი სწავლის სფეროს, გაცვლითი პროგრამების და/ან სხვ. სასწავლო კურსები)	6

პროგრამის გეგმა

№	კომპონენტი	წინაპირობები	ECTS	სემესტრები						
				180	I	II	III	IV	V	VI
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
I. თავისუფალი კომპონენტი			სავალდებულო ნაწილი:	36*	24*	12	-	-	-	-
1.	EBGE-17	ციფრული ტექნოლოგიების პრინციპები	წინაპირობის გარეშე	3	3					
2.	EBBA-01	მათემატიკა ბიზნესისთვის (I)	წინაპირობის გარეშე	6	6					
3.	EBGE-01	შესავალი მეწარმეობაში	წინაპირობის გარეშე	6	6					
4.	EBBA-02	მათემატიკა ბიზნესისთვის (II)	მათემატიკა ბიზნესისთვის (I)	6		6				
5.	EBGE-02	წერის ტექნიკა	წინაპირობის გარეშე	3	3					
ინგლისური ენის კომპონენტი *										
6.	EBGE-04/2	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B2)	წინაპირობის გარეშე	6	6*					
7.	EUBA-01/1	ბიზნეს ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B2)	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B2)/B2 დონე	6		6				
			არჩევითი ნაწილი:	6	-	-	-	-	6	-
II. ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი			სავალდებულო ნაწილი:	126	6	18	30	30	24	18
			არჩევითი ნაწილი:	12	-	-	-	-	-	12
I სემესტრი			სავალდებულო	6						
1.	EBBM-01	მენეჯმენტის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	6	6					
			არჩევითი	-	-					
II სემესტრი			სავალდებულო	18						
2.	EBBM-02	ინოვაციების მენეჯმენტი და სტარტაპი	შესავალი მეწარმეობაში	6		6				
3.	EBBF-01	ფინანსური აღრიცხვა (I)	წინაპირობის გარეშე	6		6				
4.	EBBA-03	მიკროეკონომიკის პრინციპები	წინაპირობის გარეშე	6		6				
			არჩევითი	-		-				

III სემესტრი				სავალდებულო	30						
5.	EBBA-04	მაკროეკონომიკის პრინციპები	მიკროეკონომიკის პრინციპები	6			6				
6.	EBMA-01	მარკეტინგის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	6			6				
7.	EBBF-02	ფინანსური აღრიცხვა (II)	ფინანსური აღრიცხვა (I)	6			6				
8.	EBBA-17	AI & საინფორმაციო სისტემები ბიზნესისთვის	ციფრული ტექნოლოგიების პრინციპები	6			6				
9.	EBBA-18	სტატისტიკა ბიზნესისათვის	მათემატიკა ბიზნესისთვის (II)	6			6				
				არჩევითი	-			-			
IV სემესტრი				სავალდებულო	30						
10.	EBBF-03	მენეჯერული აღრიცხვა	ფინანსური აღრიცხვა (II)	6				6			
11.	EBBM-03	ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საფუძვლები	მენეჯმენტის საფუძვლები	6				6			
12.	EBBM-05	ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლები	მენეჯმენტის საფუძვლები	6				6			
13.	EBBA-19	ბიზნესის ანალიტიკა და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები	ციფრული ტექნოლოგიების პრინციპები; სტატისტიკა ბიზნესისათვის	6				6			
14.	EBBA-20	ბიზნესის სამართლებრივი გარემო	წინაპირობის გარეშე	6				6			
				არჩევითი	-				-		
V სემესტრი				სავალდებულო	24						
15.	EBBM-07	პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევა და ბიზნესის მდგრადი განვითარება	მენეჯმენტის საფუძვლები	6						6	
16.	EBBM-08	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	მენეჯმენტის საფუძვლები	6						6	
17.	EBBF-05	ფინანსური მენეჯმენტი	მენეჯერული აღრიცხვა	6						6	
18.	EBBA-21	საერთაშორისო ბიზნესი	წინაპირობის გარეშე	6						6	
				არჩევითი	-					-	
VI სემესტრი				სავალდებულო	18						
19.	EBMA-05	ციფრული მარკეტინგი	მარკეტინგის საფუძვლები	6							6
20.	EBBM-14	ლიდერობა	ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საფუძვლები	6							6
21.	EBBM-09	ბიზნეს პროექტი	ინოვაციების მენეჯმენტი და სტარტაპი; მარკეტინგის საფუძვლები; ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლები; ფინანსური მენეჯმენტი; წერის ტექნიკა; სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	6							6
				არჩევითი	12						12
III. სტუდენტის არჩევანით (პროგრამის სტრუქტურის შესაბამისად)				სტუდენტის გადაწყვეტილებით, კრედიტების არჩევის სქემა შესაძლოა განსხვავდებოდეს მითითებულისაგან	18	I	II	III	IV	V	VI
					-	-	-	-	6	12	
3.1. გაცვლითი პროგრამები											
<p>1. ბიზნესის ადმინისტრირება. განხორციელების ადგილი - პარტნიორი დაწესებულება „ვილინიუსის უნივერსიტეტი“, ლიეტუვას რესპუბლიკა/Vilnius University (Vilnius, Lithuania), Webpage: www.vu.lt განხორციელების ენა - ინგლისური; დაშვების წინაპირობა - ბტუ-ს სტუდენტის აქტიური სტატუსი, ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B2 დონეზე / (IELTS 5.5+, iBT TOEFL 65+). 1 ECTS= 27 სთ. პარტნიორ დაწესებულებაში შესწავლილი 5 ECTS ბტუ-ში აღიარდება როგორც 6 ECTS. შეთავაზებულიდან სტუდენტმა უნდა აირჩიოს არაუმეტეს 30 ECTS. სტუდენტი, რომელიც ირჩევს ამ გაცვლით პროგრამას, წინა/მომდევნო სემესტრებში სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით (საჭიროების შემთხვევაში), წელიწადში max 75 ECTS.</p>											
1.	BBMF-1/01	Business Operation Management / ბიზნესის ოპერაციების მართვა	Economic Principles; Basics of Management / ეკონომიკის პრინციპები; მენეჯმენტის საფუძვლები	6			+	+	+		

2.	BBMF-1/02	Human Resource Management / ადამიანური რესურსების მართვა	Basics of Management / მენეჯმენტის საფუძვლები	6			+	+	+		
3.	BBMF-1/03	Essentials of Marketing Research / მარკეტინგის კვლევის საფუძვლები	Probability Theory and Mathematical Statistics; Basics of Marketing / ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა; მარკეტინგის საფუძვლები	6			+	+	+		
4.	BBMF-1/04	Information and Communication Technologies / საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	No prerequisite / წინაპირობის გარეშე	6			+	+	+		
5.	BBMF-1/05	Business Risk Management / ბიზნესის რისკების მართვა	Basics of Management / მენეჯმენტის საფუძვლები	6			+	+	+		
6.	BBMF-1/06	Business Statistics / ბიზნეს სტატისტიკა	Economic Principles; Mathematics / ეკონომიკის პრინციპები; მათემატიკა (II)	6			+	+	+		
7.	BBMF-1/07	Global Business / გლობალური ბიზნესი	Economic Principles / ეკონომიკის პრინციპები	6			+	+	+		
8.	BBMF-1/08	Marketing Management / მარკეტინგის მენეჯმენტი	Basics of Management; Basics of Marketing / მენეჯმენტის საფუძვლები; მარკეტინგის საფუძვლები	6			+	+	+		
9.	BBMF-1/09	Basics of Accounting and Auditing / საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის საფუძვლები	Economic Principles, Mathematics / ეკონომიკის პრინციპები; მათემატიკა (II)	15			+	+	+		
10.	BBMF-1/10	Retail Management and Marketing / საცალო მენეჯმენტი და მარკეტინგი	Economic Principles; Basics of Marketing / ეკონომიკის პრინციპები; მარკეტინგის საფუძვლები	6			+	+	+		
<p>2. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი / International Business Management. განხორციელების ადგილი - პარტნიორი დაწესებულება „ბრაგანსა პოლიტექნიკურ ინსტიტუტი“, პორტუგალია/Polytechnic Institute of Braganca, Portugal, Web page: www.ipb.pt; განხორციელების ენა - ინგლისური; დაშვების წინაპირობა - ბტუ-ს სტუდენტის აქტიური სტატუსი, ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B2 დონეზე, წინა სემესტრებში ბტუ-ს პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო სასწავლო კურს(ებ)ში კრედიტის მიღება, რომელიც მითითებულია/იქნება განსაზღვრული შესასწავლი კურსების წინაპირობად., პარტნიორ დაწესებულებაში 1 ECTS= 27 სთ. სტუდენტი, რომელიც ირჩევს ამ გაცვლით პროგრამას, წინა სემესტრებში სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით (საჭიროების შემთხვევაში), წელიწადში max 75 ECTS.</p>				20-30 კრედიტი სემესტრში							
1.	BBMF-2/01	International Business Management / საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	6			+	+	+		
2.	BBMF-2/02	International Operations and Logistics / საერთაშორისო ოპერაციები და ლოჯისტიკა	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	6			+	+	+		
3.	BBMF-2/03	Commercial Policies and Economics Integration / კომერციული პოლიტიკა და ეკონომიკური ინტეგრაცია	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	3			+	+	+		
4.	BBMF-2/04	International Contracts / საერთაშორისო კონტრაქტები	პირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	3			+	+	+		
5.	BBMF-2/05	E-Business Management / ელექტრონული ბიზნესის მენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	3			+	+	+		
6.	BBMF-2/06	Marketing Practices / მარკეტინგული პრაქტიკები (იქნება აღიარებული როგორც „საერთაშორისო მარკეტინგი“)	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	4			+	+	+		
7.	BBMF-2/07	International Commercial and Fiscal Law / საერთაშორისო კომერციული და ფისკალური სამართალი	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	6			+	+	+		
8.	BBMF-2/08	Internship and Thesis / სტაჟირება და თეზისი	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	27			+	+	+		
9.	BBMF-2/09	International Labour Market Economics and Law / საერთაშორისო შრომის ბაზრის ეკონომიკა და სამართალი	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	3			+	+	+		
10.	BBMF-2/10	Quality Management of International Business / საერთაშორისო ბიზნესის ხარისხის უზრუნველყოფა	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	4			+	+	+		

11.	BBMF-2/11	Auditing / აუდიტი	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	3			+	+	+	
12.	BBMF-2/12	Doing Business Abroad / ბიზნესი საზღვარგარეთ	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	3			+	+	+	
13.	BBMF-2/13	International Finance / საერთაშორისო ფინანსები	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	3			+	+	+	
14.	BBMF-2/14	Research Methodology / კვლევის მეთოდები	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	3			+	+	+	
15.	BBMF-2/15	International Monetary Economics / საერთაშორისო მონეტარული ეკონომიკა	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	3			+	+	+	
<p>3. კრეატიულობა და ბიზნეს ინოვაცია / Creativity and Business Innovation. განხორციელების ადგილი - პარტნიორი დაწესებულება „ვილნიუსის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი“, ლიეტუვა/Vilnius University of Applied Sciences, Vilnius, Lithuania, Web page: https://en.viko.lt/; განხორციელების ენა - ინგლისური; დაშვების წინაპირობა - ბტუ-ს სტუდენტის აქტიური სტატუსი, ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B2 დონეზე, წინა სემესტრებში ბტუ-ს პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო სასწავლო კურს(ებ)ში კრედიტის მიღება, რომელიც მითითებულია/იქნება განსაზღვრული შესასწავლი კურსების წინაპირობად., პარტნიორ დაწესებულებაში 1 ECTS= 25 სთ. სტუდენტი, რომელიც ირჩევს ამ გაცვლით პროგრამას, წინა სემესტრებში სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით (საჭიროების შემთხვევაში), წელიწადში max 75 ECTS.</p>										
1.	BBMF-3/01	Creativity (Enhancing Creativity, Creativity as a Scientific Field of Study) / კრეატიულობა (კრეატიულობის გაძლიერება, კრეატიულობა, როგორც მეცნიერული სწავლების დარგი)	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	10			+	+	+	
2.	BBMF-3/02	Organization and Management (Management, Fundamentals of Business, Change Management) / ორგანიზაცია და მენეჯმენტი (მენეჯმენტი, ბიზნესის საფუძვლები, ცვლილებების მენეჯმენტი)	მენეჯმენტის საფუძვლები/ პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	10			+	+	+	
3.	BBMF-3/03	Business Analysis (Business Analysis, Organization, Organizational Behavior) / ბიზნეს ანალიზი (ბიზნეს ანალიზი, ორგანიზაცია, ორგანიზაციული ქცევა)	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	10			+	+	+	
<p>4. საერთაშორისო ბიზნესი / International Business - განხორციელების ადგილი - პარტნიორი დაწესებულება კიოლნის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (გერმანია, კიოლნი) / Technische Hochschule Köln (Germany, Cologne), Claudiusstr. 1; 50678 Köln, Gernany, E-mail: incoming-exchange@th-koeln.de; Web page: https://www.th-koeln.de/en/homepage_26.php; განხორციელების ენა - ინგლისური; დაშვების წინაპირობა - ბტუ-ს სტუდენტის აქტიური სტატუსი, ინგლისური ენის ფლობა (B2), წინა სემესტრებში ბტუ-ს პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო სასწავლო კურს(ებ)ში კრედიტის მიღება, რომელიც მითითებულია/იქნება განსაზღვრული შესასწავლი კურსების წინაპირობად. სწავლების ხანგრძლივობა: 1 სემესტრი. პარტნიორ დაწესებულებაში 1 კრედიტი = 30 სთ. შეთავაზებულიდან სტუდენტმა უნდა აირჩიოს არაუმეტეს 30 ECTS. სტუდენტი, რომელიც ირჩევს ამ გაცვლით პროგრამას, წინა/მომდევნო სემესტრებში სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით (საჭიროების შემთხვევაში), წელიწადში max 75 ECTS</p>										
1.	BBMF-4/01	International Management & Business Consulting / საერთაშორისო მენეჯმენტი & ბიზნეს კონსულტაცია	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	6			+	+	+	
2.	BBMF-4/02	Export Management & International Marketing / ექსპორტის მენეჯმენტი და საერთაშორისო მარკეტინგი	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	6			+	+	+	
3.	BBMF-4/03	Business Ethics / ბიზნეს ეთიკა	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	6			+	+	+	
4.	BBMF-4/04	Effective International Planning and Controlling - Simulation Game / ეფექტური საერთაშორისო დაგეგმვა და კონტროლი - სიმულაციური თამაში	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	6			+	+	+	
5.	BBMF-4/05	Behavioural Economics / ქცევითი ეკონომიკა	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	6			+	+	+	

6.	BBMF-4/06	Introduction to International Business Law / საერთაშორისო ბიზნეს სამართლის შესავალი	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	6			+	+	+	
7.	BBMF-4/07	International Corporate Finance / საერთაშორისო კორპორატიული ფინანსები	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	6			+	+	+	
8.	BBMF-4/08	Introduction to International Accounting and Taxation / საერთაშორისო ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	6			+	+	+	
9.	BBMF-4/09	Introduction to International Business / საერთაშორისო ბიზნესის შესავალი	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	6			+	+	+	
10.	BBMF-4/10	Cross Cultural Competence / კულტურათშორისი კომპეტენცია	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	6			+	+	+	
11.	BBMF-4/11	Multicultural Entrepreneurship / მრავალკულტურული მეწარმეობა	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	6			+	+	+	
12.	BBMF-4/12	Consulting and Digitalization / კონსულტირება და დიჯიტალიზაცია	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	6			+	+	+	
13.	BBMF-4/13	International Management Ethics / საერთაშორისო მენეჯმენტის ეთიკა	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	6			+	+	+	
14.	BBMF-4/14	International Economics / საერთაშორისო ეკონომიკა	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	6			+	+	+	
15.	BBMF-4/15	Managerial Microeconomics / მენეჯერული მიკრო-ეკონომიკა	წინაპირობის გარეშე / პარტნიორი დაწესებულების მიერ წინასწარ დადგენილი	6			+	+	+	

5. არჩევითი სასწავლო კურსები (გაცვლითი პროგრამის ფარგლებში). განხორციელების ადგილი - პარტნიორი დაწესებულება „ბრაგანსას პოლიტექნიკურ ინსტიტუტი“, პორტუგალია / Polytechnic Institute of Braganca, Portugal. Web page: www.ipb.pt, განხორციელების ენა - ინგლისური, დაშვების წინაპირობა - ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B2 დონეზე, პარტნიორი უსდ-ს მიერ შეთავაზებული სასწავლო კურსების წინაპირობების შესრულება. 1 ECTS= 27 სთ. სტუდენტი, რომელიც ირჩევს ამ გაცვლით პროგრამას, წინა/მომდევნო სემესტრებში სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით (საჭიროების შემთხვევაში), წელიწადში max 75 ECTS.

20-30 კრედიტი სემესტრში

3.2. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები არჩევს შესაძლებლობა „+“ მითითებულია არჩევითობის სქემის და წინაპირობების გათვალისწინებით

1.	EBBA-07	ბიზნეს კომუნიკაციები	წინაპირობის გარეშე	6						+
2.	EBBA-09	ბიზნესის ეტიკეტი და პროტოკოლი	მენეჯმენტის საფუძვლები	3						+
3.	EBBA-12	ბიზნეს ეთიკა	წინაპირობის გარეშე	3						+
4.	EBBA-13	კვლევის მეთოდების საფუძვლები ბიზნესში	წინაპირობის გარეშე	6						+
5.	EBBM-04	ორგანიზაციული ქცევა	მენეჯმენტის საფუძვლები	6						+
6.	EBBM-06	პროექტების მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	6						+
7.	EBBM-11	საბაკალავრო ნაშრომი	კვლევის მეთოდების საფუძვლები ბიზნესში; აკადემიური წერა	6						+
8.	EBBM-12	ცვლილებების მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია	წინაპირობის გარეშე	6						+
9.	EBBM-17	გლობალური მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	6						+
10.	EBBM-19	მიწოდების ჯაჭვის მართვა და ლოგისტიკა	ოპერაციული მენეჯმენტის საფუძვლები	6						+
11.	EBBM-23	მდგრადი განვითარება და მდგრადი ტექნოლოგიების ინტეგრაცია ბიზნესში	წინაპირობის გარეშე	6						+
12.	EBMA-06	მომხმარებლის ქცევა	მარკეტინგის საფუძვლები	6						+

<p>3.4. თავისუფალი კრედიტები (მოიაზრება: ა) ბტუ-ს სხვა საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან არჩეული სასწავლო კურსები; ბ) განათლების იმავე საფეხურის სხვა უსდ-ს პროგრამით შესწავლილი სასწავლო კურსები, რომლებიც შეიძლება იყოს ბტუ-ს პროგრამის მიზნებისთვის აღიარებული გ) ბტუ-ს გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პარტნიორ დაწესებულებაში შესწავლილი სასწავლო კურსები/პროგრამის სხვა კომპონენტები, რომლებიც შეიძლება იყოს ბტუ-ს პროგრამის მიზნებისთვის აღიარებული, დ) პარტნიორი დაწესებულების პერსონალის/სხვ. მიერ ბტუ-ში განხორციელებული სასწავლო კურსები/პროგრამის კომპონენტები, რომლებიც შეიძლება იყოს ბტუ-ს პროგრამის მიზნებისთვის აღიარებული)</p>						+
---	--	--	--	--	--	---

შენიშვნები:

- 1) სასწავლო კურსი „ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B2) - სტუდენტები, რომლებიც ფლობენ ინგლისურ ენას B2 და უფრო მაღალ დონეზე, არ არიან ვალდებული შეისწავლონ ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B2). სტუდენტები, რომლებიც არ ფლობენ ინგლისურ ენას B2 დონეზე, შეისწავლიან ინგლისური ენის პრაქტიკულ კურსს (B2). სტუდენტები, რომლებიც არ სწავლობენ ინგლისური ენის პრაქტიკულ კურსს (B2). შესაბამისი სემესტრში წინამდებარე პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებულიდან და/ან სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)იდან (ე.წ. „თავისუფალი კრედიტის“ სახით) ირჩევენ მათთვის სასურველ სასწავლო კურსს (წინამდებარე პროგრამის სწავლების ენისა და კურსის წინაპირობების გათვალისწინებით) შესაბამისი კრედიტის მოცულობით, რის შედეგად მათთვის იზრდება წინამდებარე პროგრამის არჩევითი ნაწილის კრედიტების რაოდენობა;
